



ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი  
კოლეჯის

## საგანგებო მართვის გეგმა

შემუშავებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის  
საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია:

დირექტორის ზურაბ შევარდნაძის 2022 წლის 12 ივლისის № 21 ბრძანებით,  
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილებით  
დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად.

თბილისი

2022 წელი

# საგანგებო მართვის გეგმა

## I თავი

### შესავალი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობის საფუძველს. იგი, ამავდროულად, არის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, თანამშრომლების, სტუდენტების (მოსწავლეების), მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

### 1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი მოქმედებს დანართი N2-ში წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

### 1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯის თანამშრომლების, სტუდენტების (მოსწავლეების), მატერიალური ფასეულობათა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

### 1.3 ორგანიზაციის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები

#### 1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია:

ამირან სიხარულიძე - უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი, 595483087, წალკის რაიონი, დაბა ბედიანი.

#### 1.3.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა: 45

#### 1.3.3. შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა.

ორგანიზაციის ძირითადი შენობის (ოფისის) მისამართი:

კოლეჯი მდებარეობს ქ. თბილისში, ავლაბარში, ქვემო ელიას დასახლება, სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე. შენობა არის ერთსართულიანი, ფართობი - 350 კვ.მ, აგურით აგებული 1980-იან წლებში, მყარი, 70 სმ სისქის კედლებით, რკინა-ბეტონის სარტყელით და გადახურულია ხის კონსტრუქციაზე ონდოლენის ფურცლებით, რომელიც დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო სითხით. საკადასტრო კოდი: 01.17.01.005.007

შენობა უზრუნველყოფილია წყლით და ელექტროენერგიით, გაზი შენობის ტერიტორიაზე არ არის.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: შენობის მიმდებარედ არის 1 ჰა ტერიტორია, რომელზეც მდებარეობს დახურული სათბური და ღია ნაკვეთები, განკუთვნილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. აღნიშნული ტერიტორია განთავსებულია სამების საკათედრო ტაძრის შემოღობილ სივრცეში. შენობის მიმდებარედ არ გადის საჰაერო მაღალი ძაბვის სადენები. ცენტრალურ ტრანსფორმატორში, (რომელიც მდებარეობს შენობიდან მოშორებით, სამების ტაძრის ტერიტორიაზე) მაღალი ძაბვა შემოდის მიწისქვეშა კომუნიკაციით. კოლეჯის შენობის გათბობა უზრუნველყოფილია სამების ცენტრალური გათბობის სისტემიდან.

#### 1.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის ზურაბ შევარდნაძე. ხოლო, მისი მოადგილე - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი ამირან სიხარულიძე (უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი), რომელიც დანიშნულია დირექტორის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია/საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციის დასახელება	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის საკურატორო ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	კოლეჯის დირექტორი	დანართი № 3 პუნქტი №1
2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ დარგში	დანართი № 3 პუნქტი №2
3	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე-კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	კოლეჯის საქმისმწარმოებელი	დანართი № 3 პუნქტი №3
4	სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი	უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი №4
5	მატერიალურ _ ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი	სამეურნეო სამსახურის უფროსი	დანართი № 3 პუნქტი №5
6	სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი:	ექიმი	დანართი № 3 პუნქტი №6

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

0103 ქ. თბილისი, ქვემო ელიას დასახლება წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი  
0103, Holy Sameba Temple, Kvemo Elia Distr., Tbilisi  
Tel.: 2 74 55 02; [www.dmsk.ge](http://www.dmsk.ge); E-mail: [dmsk.college@gmail.com](mailto:dmsk.college@gmail.com)

კოლეჯის ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს სასწავლო ზარის განუწყვეტელი სიგნალი 3-4 წუთის განმავლობაში. ამასთან შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით (საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა, იხილეთ დანართი №8). ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში კოლეჯი გადადის ავტონომიურ განათებაზე. კოლეჯს გააჩნია ხელის ზარი და ასევე გააჩნია ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობა(რუპორი).

## 1.6 სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. (იხილეთ დანართი # 10)

## II თავი

### საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნოემბერი 2015) საფუძველზე.

### 2.1 მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ქვეყნის (ადგილის) სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე:

კოლეჯის ტერიტორიაზე განისაზღვრა ორი ტიპის საფრთხე: ხანძარი შენობაში და მიწისძვრა.

## 2.2 რისკის შეფასების დრო: 5 ივლისი, 2022 წელი

## 2.3 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, ისტორიულ ანალიზის

საფუძველზე. საგანგებო შტაბის წევრების მიერ 10-10 ქულიანი სისტემით შეფასებულ იქნა შენობის განთავსების ტერიტორიაზე შესაძლო საფრთხეები. ამავე დროს გათვალისწინებულ იქნა საფრთხეთა ალბათობები და ზეგავლენა.

## 2.4 რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან

გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი შენობაში	4	8	N 1-32
2	მიწისძვრა	3	6	N 2 - 18

**რისკი #1 აღწერა:** ხანძარი კოლეჯის შენობაში დაარსებიდან დღემდე არ დაფიქსირებულა, თუმცა ხანძრის წარმოქმნა შეიძლება მოხდეს ელექტროგაყვანილობის ან მოწყობილობების გაუმართაობის შედეგად ან ცეცხლთან გაუფრთხილებლობის შედეგად.

**რისკი #2 აღწერა:** სტატისტიკური მონაცემებით თბილისში ბოლო პერიოდში დაფიქსირებულა საშუალო სიმძლავრის მიწისძვრები, რომელსაც მცირე დაზიანება და ადამიანის მსხვერპლიც მოჰყოლია. თუმცა კოლეჯის შენობა მდებარეობს 8 ბალიან სეისმურ ზონაში, რამაც შეიძლება კოლეჯის შენობა მნიშვნელოვნად დაზიანოს.

## 2.5 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა კოლეჯში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

**სცენარი #1 რისკის მიხედვით:** შენობაში ხანძარი შეიძლება გავრცელდეს როგორც მხოლოდ მის კონკრეტულ ნაწილში, ისე მთელი შენობის მასშტაბით. შესაბამისად, შეიძლება მოხდეს გასასვლელელებსა და ცალკეულ ოთახებში კვამლის დაგროვება, რაც გამოიწვევს მასში მყოფი ადამიანების ინტოქსიკაციას. მოსალოდნელია, ცალკეულმა თანამშრომლებმა და სტუდენტებმა მიიღონ სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა. მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გამოიწვიოს მზიდი კონსტრუქციის (სახურავის) აალება, რასაც თავის მხრივ მოჰყვება შენობის მზიდი ელემენტების ნგრევა და გასასვლელეების (მათ შორის საევაკუაციო) ჩახერგვა. საევაკუაციოდ ადვილად გამოსაყენებელია ფანჯრის ღიობები, რომელთა ჟალუზებიც სასწავლო პერიოდში გაღებულ მდგომარეობაშია. ხანძარმა თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ელექტროსისტემის, ელექტრომოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა. რასაც შეიძლება მოჰყვეს ელექტროდენის ზემოქმედება ცალკეულ პირებზე.

**სცენარი #2 რისკის მიხედვით:** კოლეჯის შენობაში მიწისძვრის ბიძგებმა შესაძლოა გამოიწვიოს მზიდი კონსტრუქციის (კედლების) დაზიანება, რააც შეიძლება მოჰყვეს შენობის ცალკეული ელემენტების ნგრევა და გასასვლელეების ჩახერგვა. შესაძლოა დაზიანდეს ელექტროსისტემა და საფრთხე შეექმნას ელექტრომოწყობილობებს. შეიძლება მსუბუქი და საშუალო ხარისხის მექანიკური დაზიანებები მიიღონ სტუდენტებმა და თანამშრომლებმა. მოსალოდნელია ფანჯრების ჩამტვრევა. ხანძრის წარმოქმნა, კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა.

### III თავი

**გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.**

#### 3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია



პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება;

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

### 3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 1 რისკის მიხედვით:

#### ხანძარი:

- ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა;
- შენობაში ცხელი ხაზის 112 ნომერის და სართულების საევაკუაციო სქემების თვალსაჩინო ადგილას განთავსება;
- ყველა სართულზე ცეცხლმაქრების (ვადების კონტროლით) დამონტაჟება;
- საევაკუაციო გზებზე ავარიული განათების მოწყობილობების და შესაბამისი მანათობელი ნიშნების მონტაჟი;
- თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ქცევის წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;
- ადვილად აღებადი და წვადი ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში, მათი განთავსების ადგილების შესაბამისი ნიშნებით მოწყობა;
- შენობაში უწყვეტი ვიდეო მონიტორინგის განხორციელება;
- ელექტრო-წერტილების, ელექტრო-კარადების, ელექტრო-სადენების, ელექტრო-ტექნიკის პერიოდული მონიტორინგი და გადამოწმება;
- ელექტრომოწყობილობების და დანადგარების, მეხამრიდების და დამიწების კონტურების უსაფრთხო მოწყობა/ექსპლუატაცია და გამართულობის კონტროლი;

- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლმაქრების) ვადების კონტროლი და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების (სახანძრო სიგნალიზაციისა და მაუწყებლობის სისტემის, სახანძრო ჰიდრანტების) გამართულობაზე კონტროლი.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 4.1)

### 3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 2 რისკის მიხედვით:

#### მიწისძვრა:

- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილების განსაზღვრა;
- კავშირგაბმულობის, სიგნალიზაციისა და მაუწყებლობის სისტემების გამართულობაზე კონტროლი;
- შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება-შემოწმება;
- შენობაში და მის გარე ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების გამაგრება;
- კედელზე დაფიქსირებული თაროების გამაგრება და კარადების იატაკზე მყარად განთავსება;
- მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრების ადგილზე შესაძლო საფრთხის შემცველი გამხმარი ხეების და ხის ტოტების მოჭრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი 4.2)

## 3.2 ფაზა II: მზადყოფნა

კოლეჯის საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

0103 ქ. თბილისი, ქვემო ელიას დასახლება წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი

0103, Holy Sameba Temple, Kvemo Elia Distr., Tbilisi

Tel.: 2 74 55 02; [www.dmsk.ge](http://www.dmsk.ge); E-mail: [dmsk.college@gmail.com](mailto:dmsk.college@gmail.com)

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა, რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

### **3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 1 სცენარის მიხედვით:**

#### **ხანძარი:**

- შტაბის წევრებისათვის სავაკუაციო ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- სახანძრო-სამაშველო ჯგუფისათვის ხანძართან ბრძოლის და პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება;
- ხანძრის ქრობისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების პრაქტიკული გამოყენების ვარჯიშის ჩატარება;
- სახანძრო სფეროში პერსონალისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ხანძრის ქრობის იმიტირებული კომპლექსური სწავლებების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.1-ში.)

### **3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N 2 სცენარის მიხედვით:**

#### **მიწისძვრა:**

- თანამშრომლებისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და სწავლებების პერიოდული ჩატარება მიწისძვრასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- სავაკუაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული იმიტირებული სწავლება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- სავაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა;
- სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- შენობაში შერჩეული უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების გადამოწმება (ჩახერგილების თავიდან აცილების მიზნით);

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 5.2-ში.)

### 3.3 ფაზა III. რეაგირება:

შენობიდან ევაკუაციის გეგმა - წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას, კოლეჯში მოქმედებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი.

#### 3.3.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:

##### ხანძარი:

ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეტყობინების და საფრთხის მაუწყებლობის სისტემების მოქმედებაში მოყვანა. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - 112, შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- სათანადოდ გადამზადებული პერსონალის მიერ ხანძრის ლიკვიდაცია არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მოხმარებით;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ევაკუირებული პერსონალის აღრიცხვა.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.1)

#### 3.3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით;

##### მიწისძვრა:

მიწისძვრის შემთხვევაში შენობის შიგნით მყოფი ადამიანები განლაგდებიან უსაფრთხო ადგილებში. თუ მიწისძვრის ბიძებს მოყვა შენობის კონსტრუქციების დაზიანება უნდა მოხდეს შეტყობინების და საფრთხის მაუწყებლობის სისტემების მოქმედებაში მოყვანა. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში

დაუყოვნებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - **112**. შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო კვების, გაზომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- პერსონალის უსაფრთხო ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში შეკრების ადილზე, საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით;
- პარალელურად მოხდება ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს საევაკუაციო პროცესი;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიაწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- განხორციელდება სახიფათო ზონების იზოლირება;
- დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ევაკუირებული პერსონალის აღრიცხვა.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 6.2)

### 3.4 ფაზა IV. აღდგენა:

#### 3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა № 1 სცენარის მიხედვით:

**ხანძარი:**

ხანძრის მაშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის, მატერიალური ფასეულობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური ღონისძიებები იხილეთ დანართი 7.1-ში)

### 3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა № 2 სცენარის მიხედვით:

#### მიწისძვრა:

მიწისძვრის შედეგების მაშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება. (ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.2)

## IV თავი

### გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება
1	ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
3	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები

0103 ქ. თბილისი, ქვემო ელიას დასახლება წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი

0103, Holy Sameba Temple, Kvemo Elia Distr., Tbilisi

Tel.: 2 74 55 02; [www.dmsk.ge](http://www.dmsk.ge); E-mail: [dmsk.college@gmail.com](mailto:dmsk.college@gmail.com)

4	<b>ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია</b> – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
5	<b>ფაზა II. მზადყოფნა</b> – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
6	<b>ფაზა III. რეაგირება</b> – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით
7	<b>ფაზა IV. აღდგენა</b> – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში
8	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა
9	შენობებიდან ევაკუაციის გეგმა
10	სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
11	რეაგირების ჯგუფების დეტალური შემადგენლობა (სია)

დანართი 1

## საგანგებო შტაბი

- ა) საგანგებო შტაბის უფროსი - დირექტორი - **ზურაბ შევარდნაძე**;
- ბ) საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - თანამდებობა - **ილუმენია თევლე(სიხარულიძე)**
- გ) შტაბის უფროსის მოადგილე - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - თანამდებობა - **თამარ კუტუბიძე**;
- დ) სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი- თანამდებობა - **ამირან სიხარულიძე**;
- ე) მატერიალურ \_ ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი თანამდებობა - **დიმიტრი შანიძე**;
- ვ)სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი: თანამდებობა - **ელგუჯა ჭიკაძე**;

**დანართი 2**



## სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #371 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად“;

0103 ქ. თბილისი, ქვემო ელიას დასახლება წმინდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსი  
0103, Holy Sameba Temple, Kvemo Elia Distr., Tbilisi  
Tel.: 2 74 55 02; [www.dmsk.ge](http://www.dmsk.ge); E-mail: [dmsk.college@gmail.com](mailto:dmsk.college@gmail.com)

საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები

№	საგანგებო შტაბის წევრი (გვარი და სახელი) საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქცია	ამოცანები (მოვალეობები)	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	საგანგებო შტაბის უფროსი:  ზურაბ შევარდნაძე	<ul style="list-style-type: none"> <li>- საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს;</li> <li>- თანამშრომლებისა და პერსონალისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება;</li> <li>- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება;</li> <li>- რეაგირების ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება;</li> <li>- ფორმირებების ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა;</li> <li>- თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;</li> <li>- საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება;</li> <li>- საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება.</li> </ul>	599181634	

